ქართული ქრონიკა №45

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

30 ივლისი 1989

გამოდის 1988 წლის 10 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

16 ივლისიდან თბილისში მიმდინარეობს მიტინგები და დემონსტრაციები ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, არის მთავარი მოთხოვნა – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა."

წმ.ილია მარტოლის სამოგადოება, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია თავის მიტინგებს მართავს სახალხო ფრონტის შტაბ-ბინასთან, იქვე გამოხატადა მჯდომარე გაფიცვა.

დემოკრატიულ აღიარსში შემავალი ორგანიზაციები (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასი, სამართალ-რადიკალური პარტია-ეროვნული სამართლიანობის კავშირი და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია(დემოკრატებისა) კი პროფკავშირების კულტურის სასახლესთან. პროფკავშირების კულტურის სასახლეზე ფრიალებს საქართველოს სამფეროვანი დროშა, შენობასთან დგას მაგიდები, რომელთანაც სხედან ჩვენი პარტიების წარმომადგენლები. ისინი აგრცელებენ ლიტერატურას, ახსნა-განმარტებებს აძლევენ იქ მოსულ ხალხს. გაკეთებულია სტენდი, სადაც გამოფენილია ჩვენი განცხადებები, გაზეთები და ა.შ. ყოველ საღამოს, 20 სთ-ზე იმართება მიტინგები, ხალხს ეგზავნით ინფორმაციას და ა.შ. მთელი ღამე დგას პოსტი, ჩვენი პარტიების წარმომადგენლები იცავენ დაკავებულ ტერიტორიას(24 ივლისს, დილით, მიღებია თავს დაესხა დემოკრატიული აღიარსის პოსტს [illegible] წაიღო ტრანსპარანტები – "გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"; "ზოგიზოდენი 15 აგვისტოდან ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ!"; "ვგმობთ კრემლის მიერ ინსპირირებულ აფხაზურ აქციას!". პირველი ორი ტრანსპარანტი დაბრუნეს, მესამე ტრანსპარანტის დაბრუნება, სიტყვა "კრემლის" გამო, არ მოხერხდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს:

1. კრემლის აგენტების დახსნას საბჭოთა და პარტიული ორგანოებიდან;
2. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრისა და ამ სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომლის მოხსნას(მათ განაიარაღებენ ქართველთა დასახმარებლად თბილისიდან ჩასული მილიცია და [illegible] ალბარაგებენ აფხაზ ექსტრემისტებს და ა.შ.).
3. აფხაზეთის ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის მართვას თბილისიდან სპეციალური კომისიის მეშვეობით.

თუ 15 აგვისტომდე ეს მოთხოვნები შესრულებული არ იქნება, ქართველი ერი მიმართავს ეროვნულ დაუმორჩილებლობას.

აფხაზი ტერორისტები მოითხოვენ საკონფედერაციო [illegible]ათის შემოღებას. მათი სურვილია, რომ საკონფედერაციო საათის დანიშვნის შემდეგ აფხაზეთის მართვა განხორციელდეს მოსკოვიდან ჟოლსკის კომისიის (ყარაბაღი) კომისიის მიერ. მსგავსი სიტუაციაა აგერბაიჯანელებით დასახლებულ ბოღნის-მარნეულში. კრემლის გეგმა წათელია: ფაქტიურად მთელს საქართველოში სამხედრო რეჟიმის დამყარება, იმის განხორციელება, რაც მარ ვერ შეძლო აპრილში და ქართველი ერის გენოციდის განხორციელება საქართველოში მცხოვრები მუსულმანი მოსახლეობის ხელით."

ისლამისა და კრემლის აღიარსი უფრო და უფრო საშიშ ფორმებს იღებს."

თბილისში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, სიტუაცია უაღრესად დაძაბულია."

27 ივლისს შეწყდა სახალხო ფრონტის შტაბ-ბინასთან გამოცხადებული მჯდომარე გაფიცვა.

* * *

22 ივლისს ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასის სპეციალური კონფერენცია ქ.თბილისში, რომელსაც ესწრებოდა 170 წარმომადგენელი საქართველოს ყველა რაიონიდან. ლოცვის შემდგომ მიღებულ იქნა ღრის წესრიგი.

1. დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში;
2. ეთნიკური პრობლემები აფხაზეთი, ბოღნის-მარნეულის რაიონები);
3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასის მოდაპარტიული მდგომარეობა;
4. 15 ა[illegible]ისტოსამდის დანიშნული ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის მზადება,
5. პრეზიდენტრის შემაერთებლობისა და სარედაქციო კოლეგიების დამტკიცება.

კონფერენციაზე აღინიშნა:

ეროვნული ხსნის კომიტეტიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და შემდგომ ეროვნული სამართლიანობის კავშირის, სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის(დემოკრატებისა) გამოსვლის შემდეგ ამ კომიტეტის შემადგენლობაში დარჩა წმ.ილია მართლის საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომლებიც ისევდა ორგანიზაციულ ერთობაში იმყოფებიან. აღინიშნა, რომ ეროვნული სამართლიანობის კავშირის ბაზაზე აღმოცენდა სამართალ-რადიკალური პარტია – თავმჯდომარე: ირაკლი შენგელია, ეს ბოდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ორად გაყოფა. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა დემოკრატიული აღიარსი, რომელში გაერთიანდნენ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასი, სამართალ-რადიკალური პარტია-ეროვნული სამართლიანობის კავშირი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია(დემოკრატებისა).

ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეს მოლაპარაკებანი ინსპირირებულია კრემლის მიერ და ჩვენ ამ პროვოკაციაზე არ უნდა წამოვეგოთ. როგორც აფხაზეთში, ასევე ბოღნის-მარნეულის რაიონებში თავდამსხმელები იყვნენ აფხაზები და აგერბაიჯანელები, რომლებიც ყარაგად იყენენ შეიარაღებულნი ექსტრემისტთა ამ ჯგუფებს წარმართავდნენ აფხაზი და აგერბაიჯანელი ეროვნების საბჭოთა და პარტიული მსხვილი მუშაკები. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტია-IV დასმა გადაწყვიტა, რომ გარედან ძალით ავსებოდეს ეთნიკური ბრძოლა გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში."

ედპ-IV დასის საშინაო საქმეებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იგი თავის რიგებში აერთიანებს უკვე 3 ათასზე მეტ წევრს.

თემურ ფორიძე, ედპ-ს წესდების დარღვევის გამო, გაირიცხა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან."

ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით შექმნა სპეციალური [illegible]ონალური ჯგუფები, რომლებიც თავიანთ რაიონებში 15 აგვისტოსათვის მოამზადებენ ხალხს გაფიცვებისათვის, საერთოდ, დაუმორჩილებლობისათვის.

კონფერენციამ დაამტკიცა პრეზიდენტრის, ტერნად მოადგილისა და გამგეთ ქართული ეროვნული საერეაქციო კოლეგიების შემადგენლობა.

კონფერენციამ [illegible] ადგილობრივ პატივი სცა აფხაზეთში დღეუკანო ქართველების ბოლოვნას. [illegible] გამოგზავნა აფხაზეთში დღეუკანო ეთა ვეკუას [illegible] იქნა გვირგვინი სოხუმში ოკუპანტი თბილისელი ადმირალ[illegible]ის ბელინაშვილის [illegible]

კონფერენცია დაბეჭა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ნაციონალ 1923 წლიდან – [illegible] გოგელიამ."

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

მ ი მ ა რ თ ვ ა

გამოქვეყნებულ, რომ ა.წ. 16 ივლისიდან თბილისში ძალზე დაძაბული სიტუაციაა ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. დღეისათვის განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობაა აფხაზეთში.

დემოკრატიულ აღიარსში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასი, სამართალ-რადიკალური პარტია-ეროვნული სამართლიანობის კავშირი და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია(დემოკრატებისა) – ცდილობენ კრემლისა და მისი ბრმა საბჭოლიტების მიერ შექმნილი ვითარების განმუტაგას და პირველ ეტაპზე აფხაზებენ უმთავრეს მოთხოვნას – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ, სამწუხაროდ, დემოკრატიული აღიარსი გვერდს ვერ აუვლის კრემლის აგენტებს საქართველოში, რომელთა ხელშეწყობით ხორციელდება ეს სისხლიანი აქციები. დემოკრატიული აღიარსის მოთხოვნებია:

1. მოიხსნას კრემლის ყველა აგენტი(მათ შორის აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ზოგიერთი სხვა თანამშრომელი, რომლებიც დღემდე იარაღით ამარაგებენ აფხაზ ტერორისტებს);
2. აფხაზეთის ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის მართვა მოხდეს თბილისიდან სპეციალური კომისიის მეშვეობით.

თუ ეს მოთხოვნები 1989 წლის 15 აგვისტომდე არ იქნება დაკმაყოფილებული, ქართველი ერი იძულებული იქნება, მიმართოს ეროვნულ დაუმორჩილებლობას.

დემოკრატიული აღიარსი ქმნის თავდაცვით შტაბებს აფხაზეთად ნოდებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა სიცოცხლის დაცვის მიზნით, ეძებს დიალოგის გზებს [illegible]ბან მოსახლეობასთან, რათა აუხსნას მას, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღია კრემლის ხელში და რომ სინამდვილეში ქართველებსა და აფხაზებს არაფერი აქვთ გასაყოფი.

მსგავსი სიტუაცია, როგორც ჩანს, მოსალოდნელია აგერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, აგრეთვე შიდა ქართლში მუსულმან ოსთა ხლრიდან. ისლამისა და კრემლის აღიარსი უფრო და უფრო საშიშ ფორმებს იძენ. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთს, რომ ქართველები მარტო ჩაგრავენ და ავიწროებენ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს. მტკიცება იმისა, რომ ეს ასე არ არის, მეტად მიგვაჩნია. საკმარისია ამის თათბირზე სსრკ-ს ელჩებს გარეთ ქართველებთან საუბარი. მათი ჰასუხი ჩვენს მტკიცებაზე უფრო მეტად დაარწმუნებს დასავლეთს იმაში, რომ ქართველ ერს მთელი თავისი არსებობის განმავლობაში არ ახსოვს სხვა ეროვნების, თვით მტრულად განწყობილი ხალხთა ჩაგვრა-შევიწროება.

თბილისში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, მდგომარეობა უაღრესად დაძაბულია."

ვეყრდნობით რა სენატის რეზოლუციას №110, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ვთხოვთ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს, აქტიურად ჩაერიოს საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებში, რათა თავიდან იქნას აცილებული კრემლის ჩანაფიქრის – საქართველოში სამხედრო რეჟიმის დამყარების გზით ქართველი ერის გენოციდის განხორციელება."

28 ივლისი, 1989 წ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი: გიორგი ჭანტურია, ამზეკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირინა სარიშვილი, გურამ ჩახვაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, გიორგი ახალაია, თენგიზ გუდავა (აფშ).

სატელევიზიო-საინფორმაციო პროგრამა ვრცელია

პროგრამა ვრცელია, რომელიც ყოველდღის გამოირჩეოდა სხვა საბჭოთა საინფორმაციო წყაროებს შორის განსხვავებული ინფორმაციის გადმოცემით, ე.წ. "საკარიბის" პერიოდში უსინდისობისა და თავხედობის გენიტში იმყოფება, რაც საგრძნობ ზიანს აყენებს დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც არც ისე იშვიათად სწორედ პროგრამა ვრცელს მონაცემებით სარგებლობენ(იგივე შეიძლება ითქვას საქმესს-ზეც). უკანასკნელ ხანს, საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ამ პროგრამას მიმაჩნია თავისი კარგად გადამუშავებული ინფორმაციით სსრკ-ში და განსაკუთრებით კი დასავლეთში შეეწინააღმდეგებოდეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს ქართველები მართლაც ჩაგრავენ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკურ უმცირესობებს, რაც უსინდისოდ, თავხედურ ტიტანებებს წარმოადგენს იმ ერის მისამართით, რომელსაც თავისი არსებობის განმავლობაში არც ერთი ერი, თვით მტრულად განწყობილიც კი, არ დაუჩაგრავს ან შეუვიწროებია."

ვაცხადებთ ჩვენს პროტესტს იმ თავხედურ სიცრუესთან დაკავშირებით, რითაც დაკავებულია ჩვენი პროგრამა, თუმცა, ვიცით რა, ვის ინტერესებსაც წარმოადგენთ, ეს სრულებით არ გვიკვირს, გასაკვირი, პირიქით რომ მოხდარიყო, ის იქნებოდა. "ჩაგრამ ყველაგერს" რომ აქვს საგზავრი, მათ შორის თავხედობასაც."

ვიმედოვნებთ, რომ დასავლეთი უახლოეს მომავალში ჯერ ოვნად შეაფასებს ჩვენი პროგრამის "პრინციპულობასა" და "მონდომებას".

29 ივლისი, 1989 წ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი: გიორგი ჭანტურია, ამზეკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირინა სარიშვილი, გურამ ჩახვაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, გიორგი ახალაია, თენგიზ გუდავა (აფშ).

ინფორმაცია...ინფორმაცია...

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის(დემოკრატებისა) ინიციატივით შედგა საბჭოთა [illegible] სიმბოლური ეკეთდაღე.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, აფხაზეთში აფხაზ ტერორისტთა თავდასხმის შედეგად მოკლულია 14 კაცი, მათგან 9 ქართველი, 5 – აფხაზი. დაჭრილია ასეულობით ადამიანი.

მთ.redაქტორი ირინა სარიშვილი ტ. 39-79-18